თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7758272

ნომერი: AR11122682

თარიღი : 23.12.2025

გაცემის თარიღი : 30.12.2025

გაცნობის თარიღი : 08.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის II შესახვევი N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯობავა პ/ნ 62001020137
- ჭონქაძის #11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 23 დეკემბრის №AR11122682 განცხადებით მომართა გიორგი ჯობავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 9

დეკემბრის №7313632 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებით N01.19.34.003.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 24 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2024 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 24 თებერვლის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირდა „2024 წლის 9 დეკემბრიდან 2025 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2024 წლის 18 ნოემბრის №AR11066286 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 14 თვეზე და 15 დღეზე თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 24 თებერვლის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურმა დაადგინა რომ სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, გამორჩენილია ნებართვის გაცემის შესახებ ჩანაწერი. სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 18 ნოემბრის №AR11066286 განცხადებით მოთხოვნილ იქნა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებით. თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად, გამორჩენილ იქნა ნებართვის გაცემის შესახებ ჩანაწერის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმედეს N01.19.34.003.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 24 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 დეკემბრის №7313632 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.